შინაური საქმეები.

ᲫᲚᲕᲔᲚ ᲥᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

№ 18.

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 5 ᲛᲐᲜ.

ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲒᲐᲛᲓᲔ

1 Თ. 70 Თ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1915 Წ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲐᲠᲐᲨᲘ ᲘᲡᲔ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲘᲓᲐᲗ ᲡᲐᲮᲘᲠᲝ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ.*)

ბ. რ. ინგილოს მკვირცხლი, ახალგაზდობრივი გულსმოდგინებით და გატაცებით აღვსილი, შინაარსიანი, მკვეთრი ენით დაწერილი ბარათი საინგილოში სარწმუნოებრივი საკითხის შესახებ ძვირფასი რამეა, რომ შიგა და შიგ არ აუშნოებდეს მას რამდენიმე სრულებით შეუწყობარებელი, შემცდარი და სიმართლეს მოკლებული აზრი. თქმა არ უნდა, საინგილოში სარწმუნოებრივი საკითხის წარმოება მუდამ ნორმალი და უარყოფითი მხარეებს მოკლებული არ იქნებოდა, უსათუოდ, მისსიონერთა შორის ერიენენ მიმართულებით არა სამისიონერო პირები, შესაძლოა, რომ საინგილოს ზოგიერთა მისსიონერებს „თვალი უფრო ბოქაულებისკენ ეჭირათ," შესაძლოა, რ. ინგილო სულაც მე მგულისხმობდეს უფროს მისსიონერად, რადგანაც საინგილოში სამსახურის დროს, დღეანდლამდე ჩემდა გაუგებარ გარემოებათა გამო, ბედმა მარგუნა პასუხის მგებლის სკამზე ჯდომა იმ მიმართულების მოწინეთა წინაშე, დღეს რომ აჭარლების წინააღმდეგ გამოდიან. დიახ, ეს ყველაფერი შესაძლოა, მაგრამ აქ ხომ უმაგალითო და მაინც და მაინც განსაოცარი არა არის რა! ვისთვისაა უცნობი, რომ ქართველი ერი დაცილებულია თავის ბუნებრივ ფუძეს, რომ ქართველი ერი დღეს აღარ სდგას საკუთარ ნიადაგზე და ამის გამო ყველა მხარე მისი განვითარება — მოქმედებისა დიდი ხანია სწარმოებს არა ნორმალად და არა ბუნებრივად? რა ნორმალობას წარმოადგენს, მაგალითად, ჩვენი მოზარდი თაობის განათლების საქმე? რა არის მოსაწონი და ბუნებრივი იმ შრომაში, რომელსაც ჩვენი ახალგაზდობა აღევს ჯანსა და სინათლეს უბრალო სოფლის სასწავლებელში ყოფნის დროს? რა ნორმალობისა და ბუნებრიობის გამომხატველია მართლ-მსაჯულების წარმოება ჩვენში? რა აქვს შესაწყობარებელ საბუთად იმ მოვლენას, რომ მოსწავლე ინგილოს შეუძლია იმოვოს მთავრობის სტიპენდია მხოლოდ იმ პირობით, რომ სასწავლებელი აირჩიოს უსათუოდ სადმე გარეშე თავისი სამშობლოს საზღვრებისა? როცა მთელი ერის სიცოცხლის მიმდინარეობა არა ნორმალია, ცხადია, ვერც სარწმუნოებრივი საკითხის წარმოება იქნებოდა მთლად ნორმალი და ბუნებრივი; მისსიონერებსაც, როგორც ჩვენი დროის სასწავლებლებში გაევლილ თვითეულ ქართველს, უსათუოდ ახასიათებდა სამშობლოს წარსულისა, მშობლიურ ერის ზნე-ჩვეულებათა და ფსიხიკის ცოდნა-შეგნების სისუსტე და ამის გამოისობით მათი მოქმედება არ იქნებოდა წუნდაუდებელი. ამის თქმა და საჯაროდ აღიარება არც დამამცირებელია ვისიმე და არც საოაკილო. საოაკითოა და სამარცხვინო მხოლოდ ის გარემოება, რომ შესაძლო ყოფილა ჩვენში რუსი მისსიონერის დანიშვნა, მაგრამ ასეთი უღვთო აქტის ჩადენაც შედეგია ჩვენი საერთო ცხოვრების არა

*) იხ. „შინაური საქმეები" № 17.

ნორმალობისა, იმისი, რომ ჩვენი ეკლესია დღეს ვუმბათ ჩამონგრეულია, მას აღარა ჰყავს გულმტკივნეული მამა და პატრონი, ჩვენი ეკლესიის გვამს, ქართველ ერს, აღარ ახლავს სარწმუნოებრივი სიმკვრივე და დაუძინებელი დარაჯობა, რომ ვერავის შეეძლოს დაუსჯელად ჩვენს წმიდათა წმიდათაში უწმიდური ფეხის შედგმა. ასეთ სამწუხარო მოვლენაში მისსიონერობას არავითარი წილი არ უდევს, პირიქით, იგი, როგორც პრინციპი, შეურიგებელი მდევნელია ამ გვარი ავაზაკობისა ეკლესიის ცხოვრებაში.

შეუწყნაოებელი და სავსებით უარსაყოფია რ. ინგილოს მსჯელობა, ვითომც მისსიონერობის დაარსებას საინგილოში სათანადო ნაყოფის მოტანის მაგიერად საქმე წაეხდინოს და გაეუარესებინოს, ვითომც მისსიონერობის გამოისობით „საინგილოში ყველაფერი მიმართული იყო და არის დღესაც იმისკენ, რომ შუღლი დასთესონ ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა შორის“. ასეთი დებულების უსაბუთობას და უნიადაგობას პირველ ყოვლისა ამტკიცებს თვით ბ. რ. ინგილოს პიროვნება. რ. ინგილო რომ კაკელი, ე. ი. საინგილოს იმ ნაწილის შვილი არ იყოს, რომელშიაც ინგილონი ცხოვრობენ და მოქმედობენ მისსიონერთაგან შექმნილ ატმოსფერაში, რომ იგი დაბადებულიყო ალიაბათის სანაიბოში, სადაც მისსიონერობას არა გაურიგებიარა ჯ ხალხს წინამძღვრობენ მოლები და ეფენდები, ყოველისავე ეჭვს გარეშე იგი უვიცი, ფანატიკოსობით მოცული უბრალო ინგილო იქნებოდა და არა ცოდნითა და განვითარებული პატრიოტული გრძნობით შემკული ქართველი. თუ ეს სინამდვილე არაა, მთელ სამაჰმადიანო საინგილოში ერთი მაგალითი მაინც გვიჩვენოს რ. ინგილომ ნასწავლი და საქართველოს მოყვარული ინგილოსი.. რატომაა, რომ არა სამუსულმანო საინგილო, არამედ მარტო მისი სამისსიონერო რაიონი იძლევა ჯანაშვილებს, აბელაშვილებს, ხუციშვილებს, დარეჯანიშვილებს, ტარტარაშვილებს და სხვებს? არა, თუ რ. ინგილო ნამდვილად ინგილოა, სულით ხორცამდე ზეცას უნდა უმადლოდეს საინგილოში მისსიონერობის არსებობას და საკუთარი პიროვნების მაგალითი უნდა უკარნახებდეს მას ამ დაწესებულებების ფრიად ღირებულობას ინგილოთა თვით შეგნებისათვის.

საინგილოში რომ მისსიონერობას სათანადო ნაყოფი არ მოეტანოს, ეს არც ერთ გაგებულ ინგილოს არ გამოუთქვამს ბეჭდითი საშუალებით. პირიქით, განათლებული ინგილოების სიმპატია ყოველთვის მისსიონერობისაკენ ყოფილა მიმართული. ინგილო იყო განსვენებული დიმიტრი ჯანაშვილი და იგი არამც თუ თანაუგრძნობდა მისსიონერობას, თვითონაც პირადათ სულით და გულით მისსიონერობდა თავის სამშობლოში; ინგილოა ბ. მოსე ჯანაშვილი და თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში, სადაც კი შემთხვევა ეძლევა, ღრმა მოწიწებით იხსენებს მისსიონერობას. დარწმუნებული ვარ, გარემოებას რომ ხელი შეეწყო მისთვის, უსათუოდ მისსიონერობას ამჯობინებდა თავის მოძმეთა შორის თბილისში მასწავლებლობას. ჩვენში რომ შეგნება იყოს და საქმის დიადობის გათვალისწინება, ჩვენ რომ ინგლისელები და ამერიკელები ვიყოთ, არც დღეს მოვაცდენდით ხსენებულ პირს მშრალი ლუკმა პურის ფასის საშოვნელად აქეთ-იქით სირბილზე, უზრუნველყოფიდთ მას საკმაო სასყიდლის დანიშვნით და სიბერის დროს მაინც გავგზავნიდით მას სამოციქულოდ მის მოძმეთა შორის. ინგილოებართლომე ხუციშვილი და აი როგორ მსჯელობს იგი ერთს თავის წერილში: „დიდხანს ინგილოები თათრების გავლენის ქვეშ იყვნენ, იმათგან მიიღეს სხვა და სხვა ჩვეულება-ადათი. ინგილო თათარსავით თავის ქალს ჰყიდიდა, სასიძოს ართმევდა 200-400 მან. მაგრამ კაქრისტიანების შემდეგ, როცა საინგილოში გაიხსნა ეკლესიები, დაარსეს სკოლა, საზოგადოებას ცოტა ოდნად მაინც აუხილა თვალები, აკრძალა ზიზღით შეხედა თათრებისაგან შეჯესებულ ჩვეულებას (ხაზი ჩვენია). ეხლა მომეტებული ნაწილი ინგილოებისა არამც თუ არა ჰყიდიან თავიანთ შვილებს, არამედ გათხოვებაში მზითევსაც კი აყოლებენ. წელს, როცა კახის ახალგაზდობა აპირებდა ობოლ ილარ. პაპიაშვილისთვის წარმოდგენის გამართვას, ყვე-

ლა სიამოვნებით შეეგება იმ რწმენით და იმედით, რომ, რაც საინგილოს მეტი ეყოლება განათლებული, იმდენად უფრო მალე გამოფხიზლდება და წარმატების გზას დაადგება იგი. ჩვენი ხსნა როგორც ყველა ერისათვის, მხოლოდ განათლებაში იხატება"... (საქართველო, 18 სექტემბერი 1915 წელ. № 95). ეს მოწმობა თავიდამ ბოლომდე მისიონერთა მოქმედების დროისაა საინგილოში და იგი იმდენად ცხადი და ნათელია თავისი შინაარსით, რომ ალარავითარ ალაგს არ უტოვებს ახსნა განმარტებას.

ქართული საზოგადოებისთვინაც და საინგილოს ყოფილი მისსიონერებისთვინაც მეტად ძვირფასია ცოდნა, რა აზრისანი არიან მისსიონერობაზე ამ ხელად საინგილოს სოფელში მოქმედი პირები, რომლებშიაც არა მცირედნი ურევიან მისსიონერთა მოწაფეთაგანნი. საინტერესოა, მაგალითად, ვიცოდეთ, რა შთაბეჭდილება დასტოვეს მისსიონერმა და მისმა ხელქვეითმა მასწავლებლებმა ნ. ყულოშვილმა და აპ. ივანიცკიმ ყორაღნისა და ალიბეგოს სკოლების მოწაფეებში. სამწუხაროდ, ნ. ყულოშვილი, ეს პედაგოგად დაბადებული, ზნეობრივი უმწიკვლობისა და დაუღალავი შრომის განსახიერება, უდროოდ გამოაკლო ინგილოთა პატიოსანი მუშაკების ისედაც პატარა გუნდს ულმობელმა სიკვდილმა და ამისგამო შეუძლებელია მისგან საქმის ნამდვილი ვითარების ცოდნა. სამაგიეროდ ცოცხალია და კეთილად მოღვაწეობს განსვეტებული ყულოშვილის ღირსეული ამხანაგი ღვდელი აპ. ივანიცკი. იმედია, ჩვეულებრივი სიმართლით და მიუდგომელობით გაიცნობს საზოგადოებას როგორც იყო დაყენებული მის დროს ალიბეგლელი ინგილოების შვილების აღზრდის საქმე მისსიონერებისგან და მოგვყავ რამე ამას სასიკეთო ალიბეგლელთა ცხოვრებაში თუ არა?

ვფიქრობთ, არც კახის საქალებო სასწავლებლის პირველი კურსის ყოფილი მოსწავლეები და იმდროინდელი მათი სასიქადულო მასწავლებელი ქალი მარიმ მახარაძე,-დღეს კნეინა სიდამონ-ერისთავისა, დაიზარებენ გაუზიარონ მკითხველ ქართველობას, მისცა რამე სასიკეთო მისსიონერმა საინგილოს ქალების მოზარდ თაობის ხსენებული სკოლის გახსნით, თუ უარესად გაუკეთებიათ ქალთა მდგომარეობა საინგილოში.

ამ პირების მტკიცე სიტყვა საუკეთესო პასუხი იქნება ბ. რ. ინგილოს წერილზე, რომელიც ჩრდილ ქვეშ აყენებს და მეტად თალხი ფერადებით ახასიათებს საინგილოში მისსიონერობას და მისსიონერთა მოქმედებას საერთოდ.

პეტრე კონჩუაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, არხიმანდრიტი ამბროსი კავკასიძე, ყოველად სამღვდელო კირიონი, ყოველად სამღვდელო დავითი ევტიხი მამინაიშვილი — ყველანი მისსიონერები, იყენენ; ამ გვარი მისსიონერებით ჩვენ თავი უნდა მოგვქონდეს, რ. ინგილოც და სხვებიც დღე და ღამ იმას უნდა ფიქრობდენ, რომ ამგვარი მისსიონერები არ მოაკლდენ ჩვენი ქვეყნის მიეარდნილ კუთხეებს, ასეთი პირების ხმა არ ჩადგეს და არ შესწყდეს არასოდეს საინგილოში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გუდამაყარ-ხევ-მთიულეთში, მესხეთ-ჯავახეთში, სვანეთში და აჭარა-ქობულეთში, რადგანაც, თუ რამე სასიკეთო გარიგებულა ყველა ამ კუთხეებში, გარიგებულა მხოლოდ და მხოლოდ მისსიონერების საშუალებით, რადგანაც ამ კუთხეებში ჯერ არც ერთ ქართულ ეროვნულ დაწესებულებას, არც ერთი ქართული ბეპედითი ორგანოს მაწარმოებელთაგანს ფეხი არ დაუდგამს და წკირი არ გადაუბრუნებია იქ მცხოვრებთა სასიკეთოდ და არც იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში მაინც დაიწყონ მათ ნაჩვენებ რაიონებში მოქმედება.

(შემდეგი იქნება)

ეპისკ. დეოსიდი.

ღირსია ქართველი სამღვდელოება განკიცხვა-განქიქებისა, თუ არა?

ეს ერთი ხანია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიმართულების ეურნალ გაზეთებში ხშირად შეხვდებით, სხვადასხვა ჯურის მწერალთაგან გამოთქმულს აზრს, რომ ვითომც ქართველი სამღვდელოება საღათას ძილს მისცემია, არაფერ კულტურულ და განმანათლებელ დაწესებულობას, არა თუ ეხმარება, არამედ კიდეც ხელს უშლის, შუდამ

,,კუპი'' და თვისი ,,მე'' აქვს წინ წამოყენებული ცხოვრებაში და სხვა და სხვა...

ქართველ სამღვდელოებას სხვადასხვა პირნი ნატაციებს უკითხავენ და მოწოდებას მოწოდებაზე ბეჭდავენ გაზეთებში, ვითომც საღათს ძილიდან მის გამოსაღვიძებლად. კარგი და პატიოსანი, მაგრამ მართლა ღირსია სამღვდელოება გაკიცხვისა ან უმოქმედობისათვის? მოვიყვანოთ ფაქტები, გავიგოთ, თუ რა გააკეთა ქართველმა სამღვდელოებამ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში დღემდი და მერე დავდვათ მსჯავრი; დავიწყოთ 1860 წლიდამ.

1860-1870 წლებში უმაღლესათ მოენიჭა უფლება სამღვდელოებას, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, რათა წელიწადში ერთხელ, და თუ საჭირო იქნებოდა, ორჯელაც მოეხდინა სამღვდელოების არჩეულ პირთა—დეპუტატთა კრება, რომელთაც უნდა ეზრუნა არსებულ სასულიერო სასწავლებელთა კეთილწარმატებისთვის და სადაც არ იყო გახსნილი უნდა ახალი გაეხსნათ.

საქართველოს საეგზარხოსოში 1860-1870 წლებში ხუთი ეპარხია იყო: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი. მე მსურს მხოლოდ იმერეთის ეპარხიის და მის სამღვდელოების მოღვაწეობას შევეხო ამ ჩემ წერილში და მოვიყვანო ფაქტები, თუ რას აკეთებდა იმერეთის სამღვდელოება ნეტარხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსის ხელში და შემდეგ; მართლა „კუპს" იძლებდა, თვისი, „მე" ქონდა წამოყენებული ცხოვრებაში, თუ დიდ საქმეს აკეთებდა და აკეთებს დღესაც, რომელსაც მხოლოდ ბრმანი ვერ ხედავენ და ყურნი ვერ ისმენენ.

1884 წელში სამრევლო შკოლათა მზრუნველობა ხომ მთლათ სამღვდელოებას დაეკალა. მიიღო თუ არა ყ-დ სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსმა უქაზი სამღვდელოების არჩეულ დეპუტატთა კრების მოწვევაზე, მაშინვე განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქ ქუთაისში გამოეგზანა სამღვდელოებას თვისი რწმუნებულნი -დეპუტატნი, პატიოსნებით და სწავლით აღჭურვილნი პირნი. მოხდა პირველი კრება (წელიწადი ა'ა მახსოვს, დაახლოებით კი 1865-7 წლებში უნდა ყოფილიყო) ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობაში, რომელიც იმ დროს პირველ შენობად იყო აღიარებული ქ. ქუთაისში და, რომლის აშენებაში არა მცირედი წვლილი უდევს იმერეთის სამღვდელოებას. შემობრძანდა ყ-დ. სამღვდელო გაბრიელი კრებაზე, აუხსნა სამღვდელოების დეპუტატთ მათი უფლება-ბ მოვალეობა, ბ პირდაპირ მიუთითა. მათ ეზრუნათ არა თუ არსებულ სასწავლებლის წარმატებისათვის, არამედ უნდა გაეხსნათ თვისი ხარჯით სემენარია, და სადაც კი მოხერხდებოდა სამრევლო შკოლებიც. იმერეთის სამღვდელოებამ მისი ღირსეული მწყემსთმთავრის სიტყვები გულის ფიცარზე დაიწერა; სიტყვა საქმედ აქცია: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი ნივთიერათ უზრუნველყო, თანდათანობით სასწავლებლის კეთილ წარმატებისათვის გადასახადი დაიდვა, თვითეული კრებული ვალდებულად გახადა 20-40 მანეთამდი ყოველ წლით ეხადა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისათვის, რომელმაც წლიურათ 15000 მანეთზე მეტი შეადგინა (იქონიე, მკითხველო, სახეში, რომ იმ დროს ხაზინის ჯამაგირი სამღვდელოებას არ ეძლეოდა). ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი პირველ სასწავლებლად ითვლებოდა გაბრიელის დროს, როგორც მოწაფეთა რიცხვით, ისე სწავლის მხრით. ამ გადასახადს დღესაც იხდის სამღვდელოება, მაგრამ ცოტა შემცირებით, რადგან პარალელური განყოფილებები ეხლა არ არი.

1870 წლიდამ იმავე გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით იმერეთ-გურია-სამეგრელო აფხაზეთის სამღვდელოებამ დაიწყო ზრუნვა ქუთაისში სემენარიის გახსნისათვის, შეკრიბა 60000 მანეთი ფული. მაგრამ განსვენებული პავლე ეგზარხოსის დროს რაღაც მანქანებით ჯერ უარი სთქვა უმაღლესმა მართებლობამ, მერე დიდხნის შემდეგ სინოდმა თვითონ გახსნა, მაგრამ ისევ მალე დახურა რაღაც ახირებული მოსაზრებით. დღეს კი ეგზარხოსის პიტირიმის წყალობით გაბრიელის

ლაწყებული სემენარია ისევ მკვდრეთით აღ-
ადგომას აპირებს.

1884 წლიდამ იმერეთის ეპარხიაში 200
მეტი სამრეველო შკოლა გაიხსნა ისევ სამ-
ღვდელოების მეცადინობით, რომელსაც შეძ-
ლების დაგვარათ ეხმარებოდა და დღესაც
ეხმარება სამღვდელოება.

1880 წლიდამ იმავე გაბრიელ ეპისკო-
პოსის თაოსნობით იმერეთის სამღვდელოე-
ბამ დაიწყო ზრუნვა საქალებო სასწავლებ-
ლის გახსნის შესახებ მოიპოვა დიდი და
ფრცელი ადგილი შენობით და 1892 წ. კი-
�ეც დაარსა თვისი საკუთარი ხარჯით, რომ-
ლის სასარგებლოთ თვითეული კრებული
წელიწადში 10 მ. იხდიდა და იხდის დღეს
ყარეშე ერთჟამიერი ხარჯებისა. ავიღოთ კერ-
ძოთ საბლაღოჩინო ოლქები. საჩხერის და
სვერის საბლაღოჩინო სამღვდელოებამ 1890
წელში მათი კეთილმოწესეთა თაოსნობით,
როდესაც ეს კუთხე სრულიად უშკოლოდ
იყო მიტოვებული, იყიდა დაბა საჩხერეში
ერგა მოზრდილი ადგილი, ააგო ზედ დიდი
ქვითკირის შენობა, რომელიც დაჯდა არა
ნაკლებ 10000 მანეთისა და გახსნა ორკლა-
სანი სამრეველო სასწავლებელი. მიბრძანდით
ახლა სხვა საბლაღოჩინოებში და თქვენ
დარწმუნდებით, რომ დიდი ღვაწლი მიუძღვის
სამღვდელოებას სწავლა განათლების წინაშე
იმერეთის ეპარხიაში. საჭირო არ არის ყვე-
ლა ჩამოვთვალოთ. მარტო ერთმა მღვდელმა,
დეკანოზმა, რ. დეკანოსიძემ ხარაგაულში
ააგო ეკლესია სავაჟო და საქალებო შკოლით
თვისი საკუთარი ხარჯით, რომელიც არა ნა-
კლებ 30000 მ. დაჯდა. სწავლა—განათლების-
თვის 30000 მ. შეწირვა უმოქმედობაა?!

ავიღოთ კერძო ქველმოქმედება: 1875
1876 წლებში ატყდა რუს ოსმალოს ომი,
1904 წელში იაპონიის. მიბძანდით საეპარ-
ხიო კონცელარიაში და შეიტყობთ, რომ
იმერეთის სამღვდელოება ცოტას არ სწირავ-
და თვისი ღარიბი ჯიბიდამ ომის საჭიროე-
ბისათვის. მე ხელთ არა მაქვს ანგარიში, მა-
გრამ დანამდვილებით შემიძლია ვსთქვა, რომ-
ერთი და ორი ასეული მანეთი არ გაუგზავნია
სამღვდელოებას ომის საჭიროებისთვის. მარ-
ტო სვერის საბლაღოჩინოდან 200 მანეთი
მეტი წავიდა და იმერეთის ეპარხიაში ხომ
26 საბლაღოჩინოა!.

დღევანდელ უმაგალითო ომის დროს
რას აკეთებს სამღვდელოება? თვითეული კრე-
ბული, გარეშე იმისა, რომ ხალხში კრეფს
შეწირულებას და აგზავნის სადაც ჯერ არს
(იხილეთ 1914—1915 წლების თვითეული-
ნომერი „საეგზარხოსო უწყებისა"), თვისი სა-
კუთარი ჯიბიდან ომის საჭიროებისთვის იხდის წე
ლიწადში 50-100 მ. (გაზეთ „სამშობლო"ში მო-
ყვანილი ბლაღოჩინი ჯაფარიძის ანგარიში არ
არის სწორი), ხოლო უმწეოთ დარჩენილთა
ოჯახებს სიტყვით და საქმით ეწევა. რომ
კრება მომხდარიყო სამღვდელოების დეპუ-
ტატების, მე დარწმუნებული ვარ, უფრო
კარგათ წავიდოდა საქმე და უფრო რიგიანად
მოეწყობოდა ომის საჭიროებისათვის ზრუნვა.
დარჩა ერთი აკარლების შემწეობა. სამღვდე-
ლობა მათ შეწევნაზე უარს იტყვის? დღე-
საც ხშირია, რომ სამღვდელოებაც იღებს
მათს შემწეობაში მონაწილეობას და,
რომ კრება მოხდებოდეს, უფრო ჯეროვანათ
გამოიღებს სამღვდელოება თავის წვლილს,
მაგრამ სამწუხაროთ სამღვდელოებისა, არა
თუ საეპარხიო კრება ორი წელიწადია არ
ყოფილა, სიბლაღოჩინოც იშვიათია და რა-
ტომ, ღმერთმა უწყის (სამღვდელოების დე-
პუტატთა კრების მოუწვეველობის შესახებ
ყრუ საყვედური ტრიალებს სამღვდელოე-
ბაში).

შეიტყვეთ ახლა სხვა ეპარხიებში, რამ-
დენი ღვაწლი მიუძღვის და ხარჯავს სამღვდე-
ლობა. როგორც ზემო მოყვანილი ფაქტე-
ბიდამ დარწმუნდება მკითხველი, ცოტა არ
გაუღია სამღვდელოებას სწავლა—განათლებისა,
და ქველ მოქმედებისათვის, მაგრამ მაინც ეს
ერთი ხანია საწყალი ქართველი სამღვდე-
ლობა იქიცება იმისთანა პირთაგან, რომ-
ლებიც სიტყვით ბევრს გვპირდებიან, მაგრამ
საქმით ცოტასაც არ აკეთებენ.

გვეტყვიან: სასწავლებლებში თქვენ შვილებს ზრდიდით, თუ იხარჯებოდითო. მართალია, ჩვენ შვილებს ვზრდიდით და ვზრდით, მაგრამ ცოტა არ არის ერის კაცის შვილები, რომლებსაც სასულიერო სასწავლებლებში, სემენარიაში, საქალებო სასწავლებელში მიუღიათ სწავლა და მოღვაწეობენ საქვეყნო სარბიელზე. ისიც დიდი საქმეა, რომ შენი შვილები აღზარდო რიგიანათ კაცმა, და ამაში ხომ ჩვენ სამღვდელოებას არც ერთი წოდება არ შეედრება. ხშირია მღვდელი, რომელიც დიდ სიღარიბეს განიცდის, მაგრამ შვილები, ერთი რომ უნივერსიტეტში ყავს, მეორე მესამე და სხვა სხვადასხვა სასწავლებლებში. აბა რომელი წოდებიდამ არის იმდენი საზოგადო მოღვაწე შედარებით, რამდენიც სასულიერო წოდებიდამ?

სამღვდელოება ქველმოქმედებაში სწორეთ იესო ქრისტეს მცნებას მისდევს: ,,მარჯვენამ რომ მისცეს, მარცხენამ არ იცოდესო''. მაგრამ ძალაუნებურად უნდა ჩაუდვა ზოგიერთ მყვირალებს პირში ბურთი და საქვეყნოთ აღიარო შენი ღვაწლი.

ყველა ზემო მოყვანილი ფაქტები აშკარად ამტკიცებს, რომ სამღვდელოება კაპეიკობით და თითო მანეთობით კი არ ეწევა სწავლა—განათლების აღორძინებას და სხვადასხვა კეთილ საქმეს, არამედ 10,000 და 20,000 მანეთობით ყოველ წლობით.

დეკანოზი ი. წერეთელი.

ქართული ტიპიკონი

ქართველი კათოლიკების საყურათღებოდ.

საზოგადოთ, საყურათღებოა, თუ ძველათ როგორ ვრცელდებოდა აღმოსავლეთის სხვადასხვა ერებში ქრისტიანებრივი სარწმუნოება. ეს ღვთიური რჯული, რომელიც მარადის ასპეტაკებდა სხვადასხვა წესებს და ჩვეულებებს ძათის გამტკიცებით იმ ერებში სადაც იგინი გამეფებულნი იყვნენ, ფართო ნამდვილ თავის-უფლებას ანიჭებს, როგორც კერძო პირს, ისრეთ საზოგადოებებს. ეს ერთი საშვალებათაგანი იყო ქრისტიანობის გავრცელებისა. ამისთვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთში სხვადასხვა დიდებულ ერების ნაუტთა ზნე-ჩვეულებებს და ენას დიდის ფართო შეხედულებით უყურებდნენ მაშინდელი სარწმუნოების მქადაგნი და დღესაც რომის ეკლესია არ ასცილდება ამნაირ სამართლიან მოქმედებას. მრავალ გზის, ჩვენ ვიცით, პაპებმა დაუშალეს ეკლესიური წესების შეცვლა და აღმოსავლეთური ტიპიკონი უძწიკვლოთ დაიცვეს, როგორც აღმოსავლეთში, რავდენადაც შეიძლებოდა, უფრო მტკიცეთ დასავლეთში, მაგ. იტალიაში. აქ, დაბეჯითებით ვიცი, თვით ვისაც სურსთ ლათინურზედ გადვიდნენ, რომისგან ნებას ვერ პოულობენ.

რა ყველა ამას ღრმად ჩაუკვირდებით, მაშინ სხვა თვალ საზრით შევხედავთ ქრისტიანობის დამყარებას ჩვენს გვარში. უტყუარი ფაკტია ანდრიას ქადაგება ჩვენს საზღვრებში, იმავე გარემოებით როგორც სლავიანებში და ბერძნებში. წმიდა ნინომ, მოციქულთა სწორმა დაგვირგვინა იმის შრომა და ენერღიით სავსე ქართველმა ერმა საკვირველათ განამტკიცა იგი თავის მიჯნებში მეხუთე საუკუნის დასაწყისიდამე.

თუმც-კი ცნობილი არ არის სასოფლო საეკლესიო ისტორიაში, მაინც ჩვენ ვიცით რომ ერთად ერთი საუცხოვო მაგალითია ქართველების გაქრისტიანება და ისრედ სწრაფათ. ამ ახალ რჯულის ღრმად გამტკიცება საქართველოში იმის მაჩვენებელია რომ დასაწყისიდანვე ქართველ ხალხს ჰყავდა ნამდვილნი მქადაგნი, რომელნიც შეადგენდნენ სრულს მტკიცე კანონიერ დაწესებულებას. იერარხია ამისთანა დარგში არის მიზეზი sine qua non და ჩვენშიაც იყო იერარხია ნაციონალური თავის ბუნებრივ და სწორ მნიშვნელობით. ამ ჩვენ დებულების წინააღმდეგი აზრი, კარგა ხანია, ევროპაში აქაიქ გავრცელებულია. ზოგიერთთა აზრით, რომელთ სომხურ წყაროებიდან ესარგებლათ, ვითომც ჩვენ სომხის სამღვდელოებამ აღგვიდგინა არა მარტო ანბანი და ლიტურღია, არამედ თვით იერარხიაც. ამის დამამტკიცებელი საბუთები არსად სჩანს და

ჩვენ კი ერთობ წინააღმდეგი ფაქტი გვწამს, რომელზედაც ბიზანტიის ისტორია საუსებით ეშოწმება ჩვენსას, რომ წ. ნინოს თხოვნაზედ, დიდმა კონსტანტინემ გამოგზავნა (ანტიოქიის პატრიარხის თანხმობით) სამღვდელოებას სრული დაწესებულება.

პირველ ეპისკოპოზს იოანეს მოჰყვა იაკობი, რომელმანც ფრიად განამრავლა ეპისკოპოზები (Tamarati E. g. ch. VIII p., 197 sg.) ამ დროს ივერიის ეკლესია, რა საკვირველია, დამოკიდებული იყო უმაღლეს საკითხებში კონსტანტინეპოლის ეკლესიაზედ და, რადგანაც სათავეში ესაც ანტიოხიას ემორჩილებოდა, ჩვენიც საბოლოოდ ანტიოხიას სცნობდა, განსაკუთრებით როდესაც კონსტანტინეპოლში პატრიარხი დაჯდა. (იხილე Tam. Hi. de Isg. 36 p. 200). ყველა აქედან სჩანს თუ ივერიის ეკლესიას რომელი წესი უნდა ჰქონოდა მიღებული. თუ მთელი ამ წესდებების და იერარხის დამამტკიცებელ ყველა საბუთებმა ჩვენამდის არ მოახწიეს. ეს იმას უნდა მივაწეროთ რომ ჩვენმა ქვეყანამ ათას გვარი უბედურება განიცადა. ჩვენ ისაც გვეყოფა რომ ივერიის ეკლესიას ჰყავდა თავის დაარსებიდანვე განვითარებულნი პირნი, რომელნიც მისი კეთილდღეობისათვის ზრუნავდენ და რომ მათ იზრუნეს და დასაწყისიდანვე ივერიის ეკლესიაში შეიტანეს არა მარტო ბერძნული წესი, არამედ თვით ეროვნული ადგილობრივი ენა, ეს უტყუარი რწმენაა, რომლის წინააღმდეგი დამამტკიცებელი ფაქტი არ არსებობს. მაინც და ჩვენ როგორ არ გვეყოლებოდა იერარხია როდესაც ჩვენ ქართველი სამღვდელოება სხვაგანაც გვყავდა. ზოგიერთ მათთაგანს კარგათ ვიცნობთ: პეტრე ივერიელი (Pierre l'Ibèriae) ევაგრი (Evagre) და ბაკურიონი (Bacourion), (Tam გვ. 152-188) ფრიად წარჩინებულნი და ცნობილი პირნი იყვნენ. ტერტულიანის აღწერილობითაც ვიცით რომ გამოჩენილი მარკიონი (Marcion) ივერიის ეკლესიას ეკუთნოდა.

(შემდეგი იქნება).

ბალვა Giuciler.

სამღვდელოების კრებების მოლოდინში.*)

სამწუხაროდ დღემდის არაფერი გაკეთებულა ამ მხრით და დღესაც არავინ ფიქრობს ამის შესახებ. ასი ათას მანათობით გადის ყოველ წლივ მთელი საეგზარხოსოს სანთლის ქარხნებიდან, ეკლესიებიდან და მონასტრებიდან სხვა-და სხვა სასწავლებელთა დასახმარებლად, ბლანკების საყიდლად, უხმარ გაზეთების გამოსაწერად და სხვა, და ერთი კაპეიკიც არ იხარჯება ენის და შინაარსის მხრით ხელმისაწვდომ, საინტერესო გაზეთებზე, ზნეობრივ-სარწმუნოებრივ წიგნებ-წიგნაკებზე, საეკლესიო სამკითხველოს მოწყობაზე, რომ მღვდელი თავის საკუთარ სფეროში მაინც არ ჩამორჩეს თავისივე სამრევლოს.

უნდა გამოვტყდეთ და საქვეყნოთ აღვიაროთ, რომ არც ერთი ყოფილი ექსარხოსი, არც ერთი თავისუფალი თუ ქორეპისკოპოსი საკმაო ყურადღებით არ მოჰკიდებია სამღვდელოების გონებრივ განვითარების საქმეს, და ეს მხარე ჩვენი თავმოჭრილი ეკლესიისა ყოველთვის მიუტევებელ დავიწყებაში იყო მიცემული. ხოლო რაიცა შეეხება სამწყსოს სულიერ მდგომარეობას, მისგან მართლმადიდებელ სარწმუნოების შეგნებულად შეთვისებას, ამაზე ზრუნვა ფიქრადაც არავის მოსვლია. საჭიროა ახლა მაინც მივაქციოთ ყურადღება ამ საქმეს და შესაფერი ზომები მივიღოთ, რომელთა შორის უპირველესი საეკლესიო წიგნსაცავ-სამკითხველო იქნება, საიდგანაც ისარგებლებს, როგორც მღვდელი ისე მრევლიც.

მართალია ასეთი წიგნსაცავსამკითხველოები რუსეთშიაც იშვიათი მოვლენაა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მაგიერათ იქ არსებობს მდიდარი სასულიერო ლიტერატურა, იქ გამოდის სპეციალი ჟურნალ-გაზეთი, რომლითაც ფართოთ შეუძლია ისარგებლოს ყველას, ვინც კი მოისურვებს, რადგან ყველა ჟურნალ-გაზეთი და წიგნები სამშობლო ენაზე გამოდის და საშვალებაც ხელთა აქვთ მათ შესაძენათ. ჩვენში კი წინააღმდეგ არც შესაფერი გამოცემები გვაბადია და რომ კიდეც გვქონდეს, საშვალე-

*) იხ. „შინ. საქ." № 17.

ბაც არა გვაქვს მათ შესაძენათ. მეტი სიმქისე რაღა უნდა იყოს, რომ კატეხიზმოც არ მოგვეპოება მდაბიო ენაზე დაწერილი, რომ ხალხში სახელმძღვანელოდ იხმარებოდეს. ოდესღაც უთარგმნიათ მიტრ. ფილარეტის კატეხიზმო და დღეს მისი ენა იმდენად დაცილებულია თანამედროვე ლიტერატურულ ენას, და მით უფრო ხალხურს, რომ მისი ხმარება ხალხში თუ სასწავლებელში შეუძლებელია. მით უფრო მიუწვდომელია იგი დღევანდელი მღვდლებისათვის, რომელთაკენ ზოგმა სულ არაფერი ქართული ენა არ იცის არც ძველი და არც თანამედროვე და ზოგის ცოდნა ამ საგანში არ აღემატება უბრალო ხალხის შვილის ცოდნას. ღმერთმა უშველოს არხიმანდრიტ პიროსს, რომელმაც ამ ბოლო დროს თავის სახელმძღვანელო მოგვაწოდა კატეხიზმოსი, თორემ თვალი არ გაგვეხილებოდა სირცხვილით. საკვირველია, რომ ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი ეპისკოპოზიც ხელშეშლელი გამოდის ნაცვლად დახმარებისა და გამხნევებისა. ყოვლადსამღვდელო გიორგიმ, მაგალითად, ზედაც არ შეხედა ჩვენ ნათარგმნ კატეხისმოს, რომლის გამოცემასაც ვლამობდით, ისე კანტორაში გაგვგზავნა გამოცემის თანხმობის მოსაპოებლად. მიუტევებელ შეცოდებათ უნდა ჩაეთვალოს ჩვენ სამღვდელოებას, განსაკუთრებით აკადემიელებს და სემენარიელებს, რომ ჩვენ ქართულ ლიტერატურას აკლია დღეს სასულიერო ლიტერატურა, რომ მსურველი ერთ ხეირიან წიგნს, ერთ ხეირიან წიგნაკს ვერ იპოვნის ჩვენში, რომ თავის სულიერი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, რომ ერთ წამს გაერთოს რელიგიურ საკითხებში. და ეს გარემოება ძალიან მძიმე უღლათ აწევს განსაკუთრებით მოზარდ თაობას, რომელსაც არაეითარი საკითხავი სასულიერო გამოცემა არ მოეპოვება გარდა „ზაკონბოჟისა“ და ისიც რუსულ ენაზე, ამ ბოლო დრომდი მაინც.

სამრევლო შკოლების ბიბლიოთეკებში ხომ სავსეა რუსული სასულიერო გამოცემებით, რომლებითაც ვერავინ სარგებლობს; და ჩვენ ვერ მოგვიხერხებია. რომ ქართულ წერაკითხვას შეჩვეულმა ბავშმა თავისუფლად იშოვნოს სასულიერო შინაარსის საკითხავი წიგნი. ამიტომ გასაკვირვალი არ არის, რომ შესაფერ კეთილ საზრდოს მოკლებული ბავშვი ისეთ გამოცემებს დაეწაფოს, რომელნიც რყვნიან მას სულიერათ და ხორციელად. და აი ერთი მიზეზიც. რომლის გამო ქართველი საზოგადოება თანდისთან რელიგიურ ინდეფერენტიზმს და ნიკოლიზმს ეძლევა.

(შემდეგი იქნები)

მღვდელი ს. მეედლიძე.

კვირიდან-კვირამდე.

დაჭრილთა დახმარება. ომში დაჭრილთა და დაშავებულთა დამხმარე სათათბიროს წევრთა კომიტეტმა 1914 წლის 26 ივლისიდან 1915 წლის 20 ოკტომბრამდი მიიღო შეწირულება ფულით 929,976 მანეთი, კომიტეტმა მიიღო აგრეთვე სესხის სახით 80 ათასი მანეთი. ამ ხნის განმავლობაში დაიხარჯა 914,638 მანეთი. ამ ჟამად კასაშია 15,337 მანეთი. სამი საეტაპო ლაზარეთისა და ექვსი გოშპიტლის შენახვა და აგრეთვე საავტომობილო რაზმი და სხვა კომიტეტს თვიურათ უჯდება 75 ათასი მანეთი. კომიტეტი მოუწოდებს ხალხს ჯარის სახარგებლოდ გაიღონ ფული. კომიტეტის მოწოდებას ხელს აწერს სათათბიროს თავჯდომარე როძიანკო და მისი ამხანაგები: შინგარევი, დმიტრიუკოვი და ვოლკონსკი..

ერთი თვის შეწყვეტის შემდეგ სამხედრო ტყვეების გაცვლა- გამოკვლა რუსეთ-გერმანიას და ავსტრიას მორის ისევ განახლდა. მოვიდ[illegible] დასახიჩრებულთა პირველი პარტია. მოსულებს დედოფლის მარიამის სახელზე დაურიგეს ფული. (ვ. დ. ს.)

კიდევ დაჭრილთა შესახებ. განსაკუთრებულმა თათბირმა განიხილა შუამდგომლობა დაჭრილ და ავათმყოფ მებრძოლების სასარგებლოდ ფულის გადადების შესახებ. ამ მიზნით ქალაქების კავშირის განკარგულებაში 4,474,80[illegible] მანეთი. ქალაქის კავშირის კავკასიის კომიტეტ[illegible] განკარგულებაში 8,220,000 მანეთი. (ვ. დ. ს.)

რედაქტორი მღვ. ს. მეედლიძე.
გამომცემელი ი. ლეონავა.

ნებადართულია სამხედრო ცენზ. სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქ. სახლი ჩარექოვისა.